<u>**პროექტი**</u>

საქართველოს კანონი
„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (დოკუმენტის ნომერი: 2045-IIს, 2014 წ.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1)მე-7 მუხლის
მე-2 პუნქტის დ.ე ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
დ.ე) D5 კატეგორიის – პირზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, და მისი ოჯახის წევრებზე. D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის გასაცემად უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებელი.

2) მე-15 მუხლის:
ა) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა უცხოელზე, რომელმაც საქართველოში განახორციელა არანაკლებ 300 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ოდენობის ინვესტიცია „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მისი ოჯახის წევრებზე. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის უცხოელის ოჯახის წევრებად ითვლებიან მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და მის სრულ კმაყოფაზე მყოფი მხარდაჭერის მიმღები ან შრომისუუნარო პირი, აგრეთვე მის სრულ კმაყოფაზე მყოფი პირი, რომელიც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით ქმედუუნაროდ არის ცნობილი;“

ბ) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, და მისი ოჯახის წევრებზე. მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გასაცემად უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენს საჯარო სამართლის

იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებელი.“

3. მე-15 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:

ლ. მუდმივი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელზე, რომელსაც 5 წლის განმავლობაში უდასტურდება ყოველწლიური არანაკლებ 120 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ბრუნვა საქართველოში განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობიდან, და მისი ოჯახის წევრებზე. ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის უცხოელის ოჯახის წევრებად ითვლებიან მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და მის სრულ კმაყოფაზე მყოფი მხარდაჭერის მიმღები ან შრომისუუნარო პირი, აგრეთვე მის სრულ კმაყოფაზე მყოფი პირი, რომელიც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი წესით ქმედუუნაროდ არის ცნობილი;“

4. მე-16 მუხლს:

ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„**2^1**. მე-16 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ბინადრობის ნებართვა უცხოელზე შეიძლება გაიცეს 5 წლის ვადით. საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელი ვალდებულია, ბინადრონის ნებართვის ფლობის განმავლობაში სსიპ შემოსავლების სამსახურიდან ყოველწლიურად წარადგინოს სააგენტოში ინფორმაცია, საქართველოში განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობის წლიური ბრუნვის შესახებ. საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა წყდება, თუ უცხოელს საქართველოში განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობიდან არ დაუდასტურდება ყოველწლიური არანაკლებ 120 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ბრუნვა.

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

5. მუდმივი ბინადრობის ნებართვის მისაღებად უცხოელმა უნდა მიმართოს სააგენტოს საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის 5 წლიანი ვადის ამოწურვიდან 6 თვის განმავლობაში და წარუდგინოს საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემიდან მე-5 წლის ბრუნვა, რომლითაც დასტურდება მის მიერ საქართველოში განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობის მე-5 წელს არანაკლებ 120 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ბრუნვა.

5. მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. ამ კანონის მე-15 მუხლის „ზ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვები გაიცემა მუდმივი ცხოვრების უფლებით.“

6. მე-18 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ქვეპუნქტი:

ი. არ არსებობს ბინადრობის ნებართვის შესაბამისი სახისათვის ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.“

7. კანონს დაემატოს 20^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად

„**მუხლი 20^1.**

1. ამ კანონის მე-6 მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული, ვიზის გაცემაზე უფლებამოსილი უწყება ვალდებულა, D5 კატეგორიის ვიზის გაცემიდან 2 კვირის ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომ - საჯარო რეესტრი) აღნიშნული D5 ვიზის მქონე უცხოელის

და იმ უძრავი ნივთის საკადასტრო კოდის შესახებ, რომლის საფუძველზეც უცხოელმა მიიღო D5 კატეგორიის ვიზა.

2 სააგენტო ვალდებულია ამ კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თითოეული მოკლევადიანი ბინადრობის გაცემიდან 2 კვირის ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომ - საჯარო რეესტრი) აღნიშნული მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის და იმ უძრავი ნივთის საკადასტრო კოდის შესახებ, რომლის საფუძველზეც უცხოელმა მიიღო მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა.

3. საჯარო რეესტრი ვალდებულია შეატყობინოს D5 კატეგორიის ვიზის მოქმედების შეწყვეტის უფლებამოსილების მქონე ორგანოს, უძრავ ნივთზე უცხოელის საკუთრების უფლების შეწყვეტის შესახებ, რომლის საკუთრებაში ქონის საფუძველზეც გაცემულ იქნა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე D5 კატეგორიის ვიზა. აღნიშნული შეტყობინება უნდა განხორციელდეს საკუთრების უფლების შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში.“

4. საჯარო რეესტრი ვალდებულია შეატყობინოს სააგენტოს იმ უძრავ ნივთზე უცხოელის საკუთრების უფლების შეწყვეტის შესახებ, რომლის საკუთრებაში ქონის საფუძველზეც გაცემულ იქნა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა. აღნიშნული შეტყობინება უნდა განხორციელდეს საკუთრების უფლების შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში.“

8. 21-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „1^2“ პუნქტი:

„1^2. საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა წყდება იმ შემთხვევაში, თუ მისი მფლობელი არ წარადგენს სააგენტოში ამ კანონის მე-16 მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას ან მის მიერ ამ კანონის მე-16 მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე არ დასტურდება უცხოელის მიერ საქართველოში განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობიდან არანაკლებ 120 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში წლიური ბრუნვა.“

მუხლი 2. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 31-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**